ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №5-7-ში მდებარე შენობის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი

თბილისი

2019 წელი

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ ნაწილში, ლესელიძის ქ. №5-7-ში. სანამ უშუალოდ შენობის მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების შეფასებაზე გადავალთ, ვფიქრობთ საინტერესოა მცირე ექსკურსი უბნის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ.

მცირე ისტორიული ექსკურსი

უძველესი დროიდან თბილისი რამდენიმე განსაზღვრული უბნისაგან შედგებოდა. ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა კალა, ისნი და ტფილისი, რომელთა ფარგლებშიც ვითარდებოდა ძირითადი ქალაქი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა, ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოით-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოით და ისნს დასავლით". მოგვიანებით, 1807-1808 წლებში რუსი მოგზაური, კლაპროტი იმასვე ამბობს: "ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი; დაბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთადერთი ხიდი მდინარე მტკვარზე". აქედან კარგად ჩანს, რომ სახელწოდება "ტფილისი", იმავდროულად ქალაქის ერთ-ერთ უბანსაც აღნიშნავდა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: "ხოლო აწ უწოდებენ ოთხავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბათს და ისნს – ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისსა".

საინტერესოა, რომ თავდაპირველად სწორედ ცხელი წყლით განთქმულ ადგილს ერქვა ტფილისი, პირველი დასახლებაც აქ ჩასახულა. მემატიანე მოგვითხრობს: "აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა, რამეთუ ტფილისიცა და კალაიცა მოოხრებული იყო მაშინ" ("ქართლის ცხოვრება"). აქ ლაპარაკია თბილისის ორ ნაწილზე: ტფილისზე და გალავანშემოვლებულ კალაზე.

ჯერ კიდევ ფეოდალური თბილისის სრულყოფილად წარმოდგენაში, ჩვენამდე მოღწეული გრაფიკული მასალა გვეხმარება. მათ შორის მეტად საინტრესოა ფრანგი მგზაურის შარდენის თბილისის ჩანახატი და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი გეგმა, რომელზეც ციხე და ციხის მეიდანი

აღნიშნულია. შიდა და გარე გალავნის კედლებში ქალაქის ჭიშკრებია დატანილი. სწორედ დაბალი ციხის გარშემო ჯგუფდება ქალაქის უმთავრესი ნაწილები, როგორიცაა სეიდაბადი და ქალაქის ცენტრი – კალა. ჯერ კიდევ ამ მასალაზე გარკვევით იკითხება ქალაქის მომავალი განვიტარების ხაზები: ნარიყალა რჩება სილუეტურად ქალაქის მნიშვნელოვან დომინანტად, მაგრამ ის ქალაქის გეგმარების განმსაზღვრელი აღარაა. ამას ადასტურებს კალას უმთავრესი ქუჩების მდებარეობა, რომელიც მდინარის პერპენდიკულარულად არის მიმართული.





ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული შენობათა საკმაოდ მაღალი კონცენტრაცია, თავად ქუჩის სიძველე განსაზღვრავს არამხოლოდ კონკრეტული მონაკვეთის, არამედ უბნის მაღალ მხატვრულ ღირებულებას. სწორედ ამჟამინდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა ქალაქის ერთ-ერთ მთავარი კარიბჭე "კოჯრის კარი". შესაბამისად ლესელიძის ქუჩას სტრატეგიული მდებარეობა მისი განაშენიანების ფუნქციურ ხასიათში გამოვლინდა: ერთმანეთის გვერდიგვერდ განთავსებული სხვადასხვა რელიგიების სამლოცველოები, ბაზრები, დუქნები თუ მცირე მოედნები ერთი მთლიანი მორფოლოგიით ხასიათდება, რაც უბნის კოლორიტსა და მომხიბვლელობას განსაზღვრავს.



სწორედ ამ ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში მდებარეობს უშუალოდ ჩვენს მიერ საკვლევი ობიექტი. შენობა განაშენიანების რიგში ჰარმონიულად ეწერება და მიუხედავად მისი დაბალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებისა მონაკვეთის ორგანულ ნაწილს ქმნის.

საპროექტო ობიექტი

შენობა რომელიც უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, ლესელიძის ქუჩის დასაწყისში მარცხენა ფლანგზე მდებარეობს. შენობა ლესელიძის I ჩიხსა და თავად ქუჩაზეა მოქცეული, და თავისი მდებარეობით ქალაქგეგმარებით როლსაც კისრულობს. კუთხით განთავსებული შენობა, დიდწილად განსაზღვრავს ქუჩის აღნიშნული მონაკვეთისა თუ ჩიხის სივრცით სტრუქტურასა თუ არქიტექტონიკას.



როგორც უკვე ათვნიშნეთ, შენობის ორი ქუჩის კვეთაზე მდებარეობს, შესაბამისად შენობის ძირითად ფასადს, ქუჩის კვეთაზე წარმოქმნილი მონაკვეთი ქმნის. შენობის გეგმარება და სტრუქტურა ისეა გადაწყვეტილი, რომ ქუჩათა შეერთებაზე განთავსებული შენობის ფასადი კი არ იჭრება, არამედ შენობის სრულფასოვან და ამავდროულად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ფაქტიურად გამოდის, რომ ნაგებობას სამი ფასადი აქვს, მათ შორის მთავარი და გვერდითა ფრთების დამაკავშირებელი, სწორედ აღნიშნული ვიწრო მონაკვეთია. შენობის პირველი სართული, ფართე, სიმეტრიულად განთავსებული ვიტრინებით იხსნება, მეორე სართული, კი პირველთან

შედარებით კედლის სიბრტყიდან მცირედ გამოწეული, წახნაგოვანი ერკერით ისაზღვრება. ერკერები, პირველ სართულზე არსებული ღიობების სიმეტრიულად ლაგდება ისე რომ ერტის მხრივ დამოუკიდებელი ღიობების სტრუქტურას ინარჩუნებს და ამავდროულად მეორე სართულის ერთიან მოცულობითობას განსაზღვრავს. ერკერები მარტივი გეომეტრიული ფორმის არის, ორი, მცირე ვერტიკალური ფორმის სარკმლით, რომელსაც მარტივპოფილიანი, ფსევდო რენესანსული ყაიდის ლავგარდანით აქცენტირდება.

ფსევდორენესანსული ელემენტი ფასადის ცენტრალურ ნაწილზეც ჩნდება, სადაც საკმაოდ მასშტაბური ფრონტონია განთავსებული. ფრონტონის ქვეშ, გვერდითა ფასადების მსგავსი, ეკერია, რომლის ცენტრშიც ლითონის შეკიდული აივანია. მის ქვემოთ, პირველ სართულზე კი შენობაში შესასვლელია მოწყობილი.

დამატებითი შესასვლელი, ეზოში ნაგებობის ლესელიძის ქუჩისპირა ფასადზე, ლითონის დაბალი შიჭკრიდანაც ხდება. მცირე ზომის ეზო, საკმაოდ მყუდროა, დახურული ტიპის. ქვის საფეხურებით მის მეორე სართულთან დაკავშირებაა შესაძლებელი. მეორე სართულის აივანი ფართეა, უაქცენტო, ლითონის მარტივი მოაჯირებით.

შენობას განსაკუთრებული მხატვრული აქცენტები არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით მის ინტერიერსა და შიდა ეზოში განთავსებულ დეკორატიულ ვიტრაჟებს, მეორე სართულის აივანზე განთავსებულ რელიეფსა და დეკორატიულ ლარნაკებს. ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ შენობის მხატვრული გამომსახველობა, სწორედ არქიტექტურისა და მცირე პლასიტილის ერთობლივი კომბინაციით იქმნება.

შენობა სრულებით ინარჩუნებს თბილისური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, თუმცა მათ გარკვეული მოდერნული ინტერპრეტაციით გვთავაზობს. ნაგებობა საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს, რომელშიც ახლა უკვე ისტორიულ მეხსიერებად არის ქცეული და შესაბამის ყურადღებას იმსახურებს.

თუმცა ამავდროულად უნდა აღინიშნოს, ნაგებობის შედარებით დაბალი სამშენებლო ხარისხი, როგორც ჩანს მშენებლობის პროცესი, არასათანადო ხარისხის სამშენებლო მასალით წარმოებდა, რის გამოც დღევანდღეს დღემდე ცალკეულმა ელემენტებმა ნაწილობრივ დაშლილმა და ძლიერ დაზიანებულმა მოაღწია.

ნაგებობის ავტორი, არქიტექტორი გიგა ბათიაშვილია, რომელიც მან დაკვეთით, 1970-80-იან წლებში ააგო. არქიტექტორი სავსებით ითვალისწინებს ყველა იმ

მახასიათებელს, რაც კონკრეტულ ადგილსა და მის ისტორიას გააჩნია. შესაბამისად შენობა თბილისური საცხოვრისის თემის თავისებური სახეცვლაა, რომელიც ძალზედ საინტერესოდ არის გადაწყვეტილი.













რეკომენდაციები

ამდენად, როგორც ჩანს, შენობა გვიანი საბჭოთა პერიოდის საავტორო ნაგებობას წარმოადგენს, რომელშიც ამჟამად უკვე ქალაქის ეპოქალურ ისტორიას ქმნის. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოუვლელობისა თუ არასწორი გამოყენების გამო, მისი ფიზიკური მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მისი რეკონსტრუქცია იგეგმება, რის შედეგადაც მისი ფუნქციური გაცოცხლებაა გათვალისწინებული. 2017 წელს, შენობის რეკონსტრუქციაზე გაცემულია შესაბამისი ნებართვა.

შენობის ამჟამინდელ რეკონსტრუქციაზე მუშაობისას, ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ✓ შენარჩუნებულ იქნას შენობის საფასადო კომპოზიცია, მისი არქიტექტურული გამომსახველობა;
- ✓ დამატებითი სართული სასურველია იყოს შენობის ამჟამინდელ მოცულობასთან პროპორციული. ამავდროულად გასათვალისწინებელია ქუჩათა კვეთა და შენობის ქალაქგეგმარებითი როლი. დამატებითი სართული ჰარმონიულად უნდა მოერგოს არამხოლოდ შენობას, არამედ მიმდებარე განაშენიანებაშიც უმტკივნეულოდ უნდა ინტეგრირდეს;
- ✓ ეზოს რეკონსტრუქციისას, გათვალისწინებულ იქნას, შენობის შიდა სივრცობრივი ელემენტი - ეზოს სახით;
- ✓ შენარჩუნებულ იქნას შენობის ინტერისა და შიდა ეზოში განთავსებული ეპოქალური ვიტრაჟები, მეორე სართელზე არსებული ბარელიეფი. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ინტერიერის დიზაინის ცვლილება, შესაძლებელია მათი ადგილმონაცვლეობა;
- ✓ შენობას არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, თუმცა ის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში, ქალაქის ძალზედ სენსიტიურ ადგილას და მომიჯნავედ არსებული ძეგლის (ლესელიძის ქ. №9) ინდივიდუალურ დამცავ ზონაში მდებარეობს, რაც კანონით განსაზღვრულ დაცვის მექანიზმს გულისხმობს.



ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია